2 გოლი 3 წუთში

დონეცკი. “შახტიორის” სტადიონი. 24 ივლისი.

“შახტიორი” (დონეცკი) - “დინამო” (თბილისი) - 2:0 (2:0).

“შახტიორი”: დეგტიარევი, კიკოტი, დროზდენკო, კლიუჩიკი, ბილდიუკი, შველიუკი, ეგიაზარიანი (ზახაროვი), კონკოვი, პროკოპენკო (დუდინსკი), იარემჩენკო, კოზინკევიჩი.

“დინამო”: ურუშაძე, ებრალიძე, ჭელიძე, ხურცილავა, ხინაჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, გავაშელი, მაჩაიძე, ყიფვიანი (ძოძუაშვილი), გ. ნოდია, მეტრეველი (ლ. ნოდია).

მსაჯი: ი. პონომარიოვი (კიშინიოვი).

დუბლიორები - 0:0.

ჩემპიონატის კალენდარში თამაშები ისე წარიმართა, რომ “შახტიორსა” და თბილისის “დინამოს” “გამორჩათ” პირველი წრის მატჩი: ორივე გუნდმა მეორე წრის პირველი შეხვედრები ჩაატარა და მხოლოდ 24 ივლისს გაასწორა ეს “ვალი”.

დონეცკელებმა თავიდანვე მაქსიმალურ ტემპში, სრული შესაძლებლობით დაიწყეს თამაში და როცა მოპირდაპირე მხრიდან მათ ასეთივე ენერგია და მონდომება არ დახვდათ, მაშინვე შეუდგნენ ტერიტორიული უპირატესობის რეალიზაციას.

24-ე წუთზე კოზინკევიჩმა კომბინაცია წამოიწყო. ბურთი მისგან მიიღო კონკოვმა, შემდეგ - ეგიაზარიანმა, რომელმაც კარში დაარტყა კიდეც. ურუშაძემ ვერ შეძლო ბურთის აღება.

27-ე წუთზე თბილისელთა კარი კვლავ ხიფათის წინაშე აღმოჩნდა კოზინკევიჩის გარღვევის შემდეგ. დონეცკელის დარტყმამ კვლავ შეუფერხებლად მიაღწია მიზანს.

მეორე ტაიმში ორივე გუნდს ჰქონდა გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

“ლელო”, 27 ივლისი, 1971.